პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი
№ 72 (12280)

კვირა, 25 მარტი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში

მინდვრად გავიდნენ...

ბათუმი. (საკ. კორ.). გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული ჩაის პლანტაციებსა და ციტრუსოვანთა ბაღებში. მეჩაიეებმა უკვე დაამთავრეს ჩაის პლანტაციების დაბარვა ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქების შეტანით. 572 ჰექტარზე შეტანილია ორგანული სასუქი.

ამჟამად მიმდინარეობს საკოფეინე მასალის დამზადება, ჩაის ბუჩქების გასხვლა, სადრენაჟო არხების გაყვანა, საპლანტაციო გზების შეკეთება, ფარდულებისა და იარაღ-მანქანების რემონტი.

თესავენ სიმინდს

მარნეული. (საკ. კორ.). რაიონის საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა სიმინდის თესვა. ყაჩაღანის საბჭოთა მეურნეობაში „მინდვრის დედოფალი“ 247 ჰექტარზე დათესეს. სიმინდის თესვაში თავი ისახელა მექანიზატორმა ჯანგიზ ქაზიმოღლიმ. იგი თესვის ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს, თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ საპატიო წვლილი შეიტანოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

სიმინდს თესავენ აგრეთვე შაუმიანის მექანოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ერეკვნული ბიბლიოთეკა

ზახარაძის რაიონი. სოფელ მერეთის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ნაირა გოგოტაძეზე გაპირავნებულია 0,4 ჰექტარი ნაკვეთი. ნაირამ იკისრა ამ ნაკვეთზე ნაცვლად 8 ათასი კილოგრამისა წელს მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 6.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

სურათზე: ნ. გოგოტაძე აწარმოებს თავის ნაკვეთზე ჩაის ბუჩქების გასხვლას.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

გარდა მწვანედ გიგინეგს

ტყიბული. (საკ. კორ.). „მინდვრის მეფე“ — ასე უწოდებენ ბარდას კურსებელი კოლმეურნეები. ამ კოლმეურნეობამ შარშან რაიონში პირველმა დათესა და მოიყვანა ბარდა. მოსავლის აღების შემდეგ იმავე ფართობზე დათესეს სიმინდი, რომელმაც მოასწრო დამწიფება. ასე მიიღეს ორი მოსავალი ერთსა და იმავე ნაკვეთზე.

წელს აქ ბარდას 9 ჰექტარზე დათესავენ. შემოდგომაზე დათესილი სამი ჰექტარი ბარდა უკვე აღმოცენდა და ნიადაგი გადაამწვანა.

ბარდისადმი დიდ ინტერესს იჩენენ ორპირელი, ხრესილელი, სოჩხეთელი და ახალსოფლელი კოლმეურნეები. რაიონში ბარდა 100 ჰექტარზე დაითესება.

იზრდება წველადობა

თეთრი წყაროს. (საკ. კორ.). დღითიდღე მატულობს იმ კოლმეურნეობათა რიცხვი, რომლებიც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად ზრდიან წველადობას. ამ საქმეში ყველაზე უფრო დაწინაურდნენ ივანოვკელი მეცხოველეები. მარტის 18 დღეში მათ თვითეულ ძროხაზე 140 კილოგრამი რძე მიიღეს, ანუ 10 კილოგრამით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

წველადობას მნიშვნელოვნად ზრდიან ირაგის, კლდეისის, დაღეთის, ჯორჯიაშვილის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

იქნება 150.000 წიწილა

საჩხერე. (საკ. კორ.). ქარგა ხანია აქ არსებობს მეფრინველეობის საარაინთაშორისო საინკუბატორო სადგური, რომელიც ემსახურება საჩხერისა და ჭიათურის კოლმეურნეობებს.

სადგურის კოლექტივი მომზადებული შეხვდა სეზონს. უკვე ჩაწყობილია 7.000 კვერცხი. წიწილები მალე ვამოჩეკავთ. წელს საინკუბატორო სადგური გამოზრდის 150.000 ფრთა წიწილას, რომლებსაც საჩხერელ და ჭიათურელ მშრომელებს მიჰყიდიან.

მშვენიერია ხეხილის ბაღები გორის რაიონის სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობაში. მათ აქ 230 ჰექტარი უჭირავთ, აქედან ნახევარზე მეტი მსხმოიარეა. წელს მერეთელებმა კიდევ გააშენეს 48 ჰექტარი ბაღი. შარშან მებაღეებმა საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 50 ცენტნერი ხილი მიიღეს, წელს კი იკისრეს მოკრიფონ 55 ცენტნერი.

სურათზე: ხეხილის ბაღების შეწამვლა მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 22 მარტის დადგენილება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის მართვის არსებული სტრუქტურა არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს, ზღუდავს იმ რეზერვების გამოყენების შესაძლებლობას, რომლებსაც სოციალისტური სოფლის მეურნეობა შეიცავს, და ძირეული გარდაქმნა ესაჭიროება. ჩვენს ქვეყანაში არსებითად არ არის ისეთი ორგანო, რომ ჯეროვნად მართავდეს სოფლის მეურნეობას, მუშაობდეს წარმოებისა და დამზადების ორგანიზაციაზე, ღრმად სწვდებოდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საჭიროებებს, იბრძოდეს მიწის, ტექნიკისა და წარმოების სხვა საშუალებათა ყველაზე ეფექტიანი გამოყენებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამ უკანასკნელ ხანს გარკვეული მუშაობა გასწიეს სასოფლო-სამეურნეო ორგანოების გარდასაქმნელად. რეორგანიზებულ იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის მთავარი ყურადღება მიქცეულია სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და სასოფლო-სამეურნეო განათლების განვითარების, წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევების ფართოდ დანერგვის საკითხებზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემას გამოეყო „საკსოფლტექნიკა“. რეორგანიზებულია დამამზადებელი აპარატი.

მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ორგანოების რეორგანიზაცია არ შეხებია წარმოების სფეროს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უშუალო ხელმძღვანელობის საკითხებს. ეს კი მთავარია. სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში პრაქტიკული საქმიანობის დროს პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები უნდა მისწვდნენ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას, აქტიურად იბრძოლონ იმისათვის, რომ უფრო სრულად იყოს გამოყენებული შესაძლებლობანი თვითეულ მეურნეობაში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმო საქმიანობის ხელმძღვანელობის საკითხები ახლა პირველ პლანზეა წამოწეული. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საჭიროდ ცნო ძირეულად გარდავქმნათ სოფლის მეურნეობის მართვა, მივუახლოოთ წარმოებას, გავხადოთ კონკრეტული და ოპერატიული. პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოები, რომლებიც აწარმოებენ დაგეგმვას, განახორციელებენ კონტროლს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების და დამზადების მდგომარეობისადმი, აქტიურ ზემოქმედებას მოახდენენ წარმოების ორგანიზაციაზე თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და პასუხს აგებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ქვეყნის უზრუნველყოფისათვის.

იმისათვის, რომ შესრულდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში“, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ან საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების შესახებ

1. შეიქმნას ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (ან საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისა, იმისდა მიხედვით, თუ მეურნეობის რომელი ფორმა სჭარბობს მოცემულ ტერიტორიაზე — კოლმეურნეობები თუ საბჭოთა მეურნეობები) ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობისათვის.

ტერიტორიული საწარმოო სამმართველო იქმნება რამდენიმე რაიონისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაოდენობის, პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის მოცულობის მიხედვით, აგრეთვე სხვა ეკონომიურ და ტერიტორიულ თავისებურებათა გათვალისწინებით. იქ, სადაც სპეციფიკური პირობები წარმოიშობა, საწარმოო სამმართველო შეიძლება შეიქმნას ერთი ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საწარმოო სამმართველოების შექმნას, როგორც ძირითად რგოლს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ძირეულ გაუმჯობესებაში, ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს მთელი საქმიანობა უნდა წარიმართოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად, ისე რომ უთუოდ უზრუნველყოთ შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შესრულება, საჭირო სახელმწიფო რეზერვებისა და ფონდების შექმნა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

2. დაეკისროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ან საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს:

მოაწყონ, სოფლის მეურნეობის შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულება და ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი კონტროლი და სახელმწიფო დისციპლინის ზუსტად დაცვა;

უხელმძღვანელონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ორგანიზაციას და უზრუნველყონ, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შეასრულოს წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმები;

განახორციელონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დაგეგმვა, აღრიცხვა და ანგარიშგება, განიხილონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმები და წლიური ანგარიშები;

შეიმუშაონ და დანერგონ მიწათმოქმედების რაციონალური სისტემები, აგრეთვე ეფექტიანი სტრუქტურა ნათესი ფართობებისა, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ მივიღოთ პროდუქციის ყველაზე მეტი გამოსავლიანობა ჰექტარ სახნავზე გაანგარიშებით;

მოაწყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტექნიკისა და წარმოების სხვა საშუალებათა მაღალნაყოფიერი გამოყენება;

მოაწყონ მეთესლეობა და კონტროლი იმისადმი, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი იყონ საკუთარი მაღალხარისხოვანი თესლით, უხელმძღვანელონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებათა და მავნებელთაგან მცენარეთა დაცვის სამსახურს;

მოაწყონ და შექმნან თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მტკიცე საკვები ბაზა სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბარდის, პარკოსნებისა და სხვა უხვმოსავლიანი კულტურების თესვის ფართოდ დანერგვით, რათა შეიქმნას საკვების სიუხვე მეცხოველეობისათვის;

უზრუნველყონ ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდა და პროდუქტიულობის გადიდება, მოაწყონ მეცხოველეობის ჯიშთასანაშენო მუშაობა და სავეტერინარო მომსახურება;

განახორციელონ ღონისძიებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის და გადააქციონ ისინი მაღალსაქონლურ და რენტაბელურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებად; უხელმძღვანელონ საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

მოაწყონ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა დადება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან, კონტროლი გაუწიონ იმას, თუ რამდენად სწორად განსაზღვრავენ მიმღები პუნქტები და საწარმოები შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის რაოდენობასა და ხარისხს, კონტროლი გაუწიონ აგრეთვე იმას, თუ რამდენად სწორად და დროულად უსწორებენ ანგარიშს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს;

უზრუნველყონ კონტროლი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საკოლმეურნეო წარმოების მართვის დემოკრატიული საფუძვლების დაცვისადმი, იმისადმი, რომ სწორად იყოს შეხამებული კოლმეურნეთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები;

განახორციელონ საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაიცვან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მათი ქონების ბოროტად გამოყენებისა და დატაცებისაგან.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ან საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის საოლქო კომიტეტის, სამხარეო კომიტეტის პარტორგის უპირველესი მოვალეობაა სწორად მოაწყონ წარმოება, შრომის დანორმვა და ანაზღაურება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ფართოდ დანერგონ შრომის დამატებითი ანაზღაურება საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგში და შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიალური სისტემა საბჭოთა მეურნეობის წარმოების ყველა დარგში. საჭიროა მთელმა ჩვენმა კადრებმა, რომლებიც მოწოდებული არიან უხელმძღვანელონ სოფლის მეურნეობას, შეიგნონ, რომ მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერება სოფლის მეურნეობის წარმატებითი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ შრომის დამატებითი ანაზღაურება კოლმეურნეობებში და შრომის აკორდულ-პრემიალური ანაზღაურება საბჭოთა მეურნეობებში უმნიშვნელოვანესი საკითხია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მშენებლობისა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისა, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა სოფლის მეურნეობის დარგში დასახა.

ტერიტორიული საწარმოო სამმართველო მოვალეა ფართოდ დანერგოს წარმოებაში მეცნიერების მიღწევები, საყრდენ-საჩვენებელ და სხვა საუკეთესო მეურნეობათა გამოცდილება, ამასთან ამ საფუძველზე უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის განუხრელი გადიდება ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ან საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოთა მუშაობაში ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა განამტკიცონ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კადრებით, შეარჩიონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრები და სპეციალისტები, შეასწავლონ კადრებს მუშაობის მოწინავე მეთოდები. სამმართველოებმა მიზნად უნდა დაისახონ რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან ისეთი სამარცხვინო მოვლენა, როცა ერთნაირი ჰავისა და ნიადაგის პირობებში არის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც სულ სხვადასხვა შედეგებს იღებენ გაწეული შრომის ერთეულზე, მიაღწიონ, რომ სუსტი და სუმუალო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ავიდნენ მოწინავეთა დონემდე.

ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები უნდა იყოს, არა ბიუროკრატიული, არამედ ოპერატიული ორგანოები, ისინი მოვალენი არიან თავიანთი მეცადინეობა წარმართონ უწინარეს ყოვლისა იქით, სადაც თავს იჩენს ორგანიზაციული და საწარმოო სისუსტე, ესე იგი განამტკიცონ სუსტი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, დროზე გაუწიონ მათ საჭირო დახმარება ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობით, გაგზავნონ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, უშუალოდ ბრიგადებსა განყოფილებებში ინსპექტორ-ორგანიზატორები და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტები, რათა ადგილზე გადაჭრან წარმოებისა და დამზადების საკითხები.

3. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს იმისათვის, რომ განახორციელონ კონტროლი და დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წარმოებისა და დამზადების გეგმების შესრულების ორგანიზაციაში, ჰყავთ ინსპექტორ-ორგანიზატორები, რომლებსაც მიამაგრებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გარკვეულ რაოდენობას.

ინსპექტორ-ორგანიზატორის ძირითადი მოვალეობანი უნდა იყოს:

— მოაწყოს კოლმეურნეობის გამგეობისა და საბჭოთა მეურნეობის დირექციის საშუალებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნედლეულის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულება, კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა შესაბამისად;

შეისწავლოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგომარეობა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები და მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეურნეობის წარმოების კონკრეტული მაგალითებითა და ნიმუშებით შეიმუშაოს რეკომენდაციები სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესების საკითხებზე;

— მოაწყოს დამამზადებელ ორგანოებთან ერთად სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა დადება კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან და კონტროლი კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა შესრულებისადმი.

ინსპექტორ-ორგანიზატორმა არ უნდა გასწიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ან საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მაგივრობა. მეურნეობის საწარმოო, ფინანსური, ეკონომიური მდგომარეობისათვის უშუალოდ აგებენ პასუხს კოლმეურნეობათა გამგეობები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, მათ ეკუთვნით საბოლოო სიტყვა საწარმოო საკითხების გადაჭრაში.

ინსპექტორ-ორგანიზატორები უნდა ეწეოდნენ მუშაობას საყრდენ-საჩვენებელ მეურნეობებთან, საცდელ სადგურებთან და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტით. საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ მიიწვიონ ამ ან სხვა ორგანიზაციების სპეციალისტები წარმოების ორგანიზაციისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების მოწყობის საკითხებზე კონსულტაციისათვის.

დაკისრებული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ინსპექტორ-ორგანიზატორები თავიანთი დროის ძეტ ნაწილს უნდა იმყოფებოდნენ უშუალოდ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებსა და ფერმებში.

4. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებში იყოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების პარტორგები და ინსტრუქტორთა ჯგუფი, რათა დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის განხორციელებაში, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების დროზე შესრულებაში. მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის სამხარეო კომიტეტის, საოლქო კომიტეტის პარტორგი მუშაობს პარტიის რაიონულ კომიტეტებთან მჭიდრო კონტაქტით.

5. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოს საჭიროა ჰყავდეს აგრეთვე რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, კომკავშირს სამხარეო კომიტეტის, საოლქო კომიტეტის კომორგი და ინსტრუქტორთა ჯგუფი. კომორგის მთავარი ამოცანაა დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირულ ორგანიზაციებს ახალგაზრდობის აღზრდაში, აქტიურად ჩაებას იგი წარმოებაში ქმედითი მონაწილეობისათვის, დარაზმოს ახალგაზრდობა იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუსახეს.

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან შეიქმნას პარტიის საოლქო კომიტეტების, საოლქო აღმასკომებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, პარტიის სამხარეო კომიტეტებისა და სამხარეო აღმასკომების, მოკავშირე რესპუბლიკების (რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ) კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების სარაიონთაშორისო გაზეთები.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ ბეჭდვითი სიტყვის დღისა და გაზეთ „პრავდის“ 50 წლისთავის მოწყობაში

მოსკოვი, 23 მარტი. (საკდესი). ათ ცენტრალურ გაზეთს და დაახლოებით 79 უურნალს, 150-ზე მეტ ადგილობრივ დარგობრივ გაზეთსა და ხუთი ათასზე მეტ მრავალტირაჟიან გაზეთს უშვებენ საბჭოთა პროფკავშირები სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად. პროფკავშირული პრესა მილიონობით ადამიანის ნამდვილი ტრიბუნა გახდა.

ეს მონაცემები მოყვანილია საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში „პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ ბეჭდვითი სიტყვის დღისა და გაზეთ „პრავდის“ 50 წლისთავის მოწყობაში“. პროფკავშირული პრესისათვის, მისი მუშა კორესპონდენტების მრავალათასიანი რაზმისათვის, ნათქვამია დადგენილებაში, „პრავდა“ იყო და არის თვალსაჩინო მაგალითი მაღალი პარტიულობისა და პრინციპულობისა ხალხის ძირეული ინტერესებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბეჭდვითი სიტყვის დღისა და „პრავდის“ 50 წლისთავის მომზადებასა და განხორციელებაში. მთელი ეს მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს პრესის ორგანიზატორული როლის შემდგომ ამაღლებას კომუნისტურ მშენებლობაში. ყველა მშრომელის დარაზმვას სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს რჩევა მიეცათ მოაწყონ კლუბებსა და ბიბლიოთეკებში ილუსტრაციებისა და წიგნების გამოფენები, თემატური საღამოები, მკითხველთა კონფერენციები და სხვა მასობრივი ღონისძიებანი, მიძღვნილი ბეჭდვითი სიტყვის დღისა და „პრავდის“ 50 წლისთავისადმი. საბჭოთა კავშირის პროფკავშირების ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა საბჭოსა და ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა ცენტრალურ საბჭოებს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ურჩევს მონაწილეობა მიიღონ გაზეთ „პრავდის“ თასის მოსაპოვებლად მასობრივ სპორტულ შეჯიბრებათა მომზადებასა და განხორციელებაში.

სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 22 მარტის დადგენილება

ეროვნული

(დასასრული)

7. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობას ახორციელებენ ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები დემოკრატიულ საფუძველზე, რისთვისაც იქმნება საწარმოო სამმართველოს საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საწარმოო-ტერიტორიული სამმართველოს უფროსი — იგივე საბჭოს თავმჯდომარე; მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის სამხარეო კომიტეტის, საოლქო კომიტეტის პარტორგი; რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, კომკავშირის სამხარეო კომიტეტის, საოლქო კომიტეტის კომორგი; კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები; პარტიის რაიკომების პირველი მდივნები და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები; „სოფლტექნიკის“ განყოფილებათა მმართველები.

საბჭოს მოწვევა ხდება დაახლოებით სამ თვეში ერთხელ, რათა განიხილოს და გადაჭრას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარებისა და განმტკიცების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ძირითადი საკითხები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო ახორციელებს წინადადებებს, რომლებსაც საბჭო შეიმუშავებს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებენ პარტიის საოლქო კომიტეტი, სამხარეო კომიტეტი, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო საბჭოს აღმასკომი, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკის (რომელსაც საოლქო დაყოფა არა აქვს) კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო.

8. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების შექმნასთან დაკავშირებით გაუქმდეს შესყიდვის რაიონული (სარაიონთაშორისო) სახელმწიფო ინსპექციები, საბჭოთა მეურნეობების რაიონული (სარაიონთაშორისო) ტრესტები. ახლად შექმნილი ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების გამგებლობაში გადაეცეს საბჭოთა მეურნეობები, რაიონული სავეტერინარო სამკურნალოები, საკონტროლო-სათესლე და აგროქიმიური laბორატორიები, ჯიშთსანაშენო მუშაობისა და ცხოველთა ხელოვნური დათესვლის სადგურები, მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურები, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებათა და მავნებელთაგან მცენარეთა დაცვის რაზმები და პუნქტები.

9. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“ გადასინჯონ „საკსოფლტექნიკის“ რაიონული და სარაიონთაშორისო კანტორების ქსელი და განლაგება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებთან შეფარდებით, რომლებიც იქმნება რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში.

10. იმასთან დაკავშირებით, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს ეკისრებათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დაგეგმვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის № 454 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების (რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ) მინისტრთა საბჭოები, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო აღმასკომები და საოლქო აღმასკომები დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმებს აძლევენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის № 454 დადგენილების მე-3 პუნქტი.

სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოები ოლქებში, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში

11. შეიქმნას ოლქებში, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში სოფლის მეურნეობის კომიტეტები.

სოფლის მეურნეობის კომიტეტს სათავეში უნდა ჩაუდგეს პარტიის საოლქო კომიტეტის, სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: საოლქო აღმასკომის, სამხარეო აღმასკომის, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობს, — იგივე საოლქო, სამხარეო სამმართველოს უფროსი; სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი; პარტიის საოლქო კომიტეტის, სამხარეო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე; გაერთიანება „სოფლტექნიკის“ თავმჯდომარე; საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური საცდელი სადგურის დირექტორი; წყალთა მეურნეობის საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი (ოლქებში, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში, სადაც წყალთა მეურნეობის სამმართველოებია).

სოფლის მეურნეობის საოლქო (სამხარეო, რესპუბლიკური) კომიტეტი:

— აწყობს სოფლის მეურნეობისა და დამზადების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას და ახორციელებს კონტროლს იმისადმი, თუ როგორ იცავენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და დამამზადებელი ორგანიზაციები სახელმწიფო დისციპლინას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გეგმების შესრულებაში;

— პასუხს აგებს ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების, დამზადების გადიდებისა და შენახვისათვის.

12. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ:

შეიქმნას ოლქებში, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოები (სამინისტროები). სამმართველოს (სამინისტროს) სათავეში უნდა ჩაუდგეს საოლქო (სამხარეო) აღმასკომის, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

გაუქმდეს ოლქებსა და მხარეებში სოფლის მეურნეობის სამმართველოები, დამზადების სამმართველოები და საბჭოთა მეურნეობების ტრესტები (გარდა ზოგიერთი სპეციალიზებული ტრესტისა) და ავტონომიურ რესპუბლიკებში — სოფლის მეურნეობის სამინისტროები, დამზადების სამმართველოები, საბჭოთა მეურნეობების საქმისტროები ან სამმართველოები;

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ახლად შექმნილ სამმართველოებსა და საქმისტროებს გადაეცეთ რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროთა გამგებლობიდან მეთესლეობის საკითხები (გარდა ელიტური თესლის წარმოებისა და სელექციისა და მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების პირველი რეპროდუქციისა), მცენარეთა დაცვის, ჯიშთსანაშენო საქმის, ვეტერინარიის, ნიადაგის დაცვისა და გაუმჯობესების და მიწათსარგებლობის საკითხები.

13. სოფლის მეურნეობის საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ (ასსრ) კომიტეტს ექვემდებარებიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საოლქო, სამხარეო სამმართველოები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო, გაერთიანება „სოფლტექნიკა“, საცდელი სადგურები და ყველა სხვა ორგანიზაცია, რომლებიც ახორციელებენ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა დარგში.

სოფლის მეურნეობის მართვის ორგანოები მოკავშირე რესპუბლიკებში

14. შეიქმნას მოკავშირე რესპუბლიკებში სოფლის მეურნეობის-კომიტეტები.

სოფლის მეურნეობის კომიტეტს სათავეში უნდა ჩაუდგეს მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობს, — იგივე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრი; მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე; რესპუბლიკურ გაერთიანება „სოფლტექნიკის“ თავმჯდომარე; სოფლის მეურნეობის მინისტრი; რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგში (ან რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე); წყალთა მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ან მინისტრი (რესპუბლიკებში, სადაც წყალთა მეურნეობის კომიტეტები ან სამინისტროებია).

მოკავშირე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კომიტეტს დაეკისროს:

— მოაწყოს სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულება;

— პასუხი აგოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების, ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, სელის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ჩაის, ხილის, ყურძნის, ციტრუსოვანთა და სხვა კულტურების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის, რათა თვითეულ რესპუბლიკას თავისი წვლილი შეჰქონდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების სრული უზრუნველყოფის საქმეში.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კომიტეტს შესაბამისი წინადადება შეაქვს მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოში.

15. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში შეიქმნას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს-პირველი მოადგილის მეთაურობით და ამასთან დაკავშირებით მოკავშირე რესპუბლიკებში გაუქმდეს დამზადებათა საქმისტროები, საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოები და სამინისტროები.

16. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს დაევალოს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შეიმუშაონ დებულებები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებისა და სოფლის მეურნეობის კომიტეტების შესახებ და წარუდგინონ ისინი სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

სოფლის მეურნეობის საკავშირო კომიტეტის შესახებ

17. შეიქმნას სოფლის მეურნეობის საკავშირო კომიტეტი.

დაწესდეს სოფლის მეურნეობის საკავშირო კომიტეტის შემდეგი შემადგენლობა: კომიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, კომიტეტის წევრები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოკავშირე რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი, სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახეკონომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

კომიტეტის მთავარ ფუნქციად ჩაითვალოს — მოაწყოს სოფლის მეურნეობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების ოპერატიული შემოწმება როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. საკავშირო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს კონტროლს რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მდგომარეობისადმი და ამ პროდუქტების დამზადების სახელმწიფო დავალებათა შესრულებისადმი.

დაეკისროს სოფლის მეურნეობის საკავშირო კომიტეტს შემდეგი ძირითადი ამოცანები:

განიხილოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების და სახელმწიფო შესყიდვის გეგმები, ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების გათვალისწინებით ამ პროდუქციის გამოყენებისა და სახელმწიფო რეზერვების შექმნის გეგმები;

გამოარკვიოს, რამდენი ტრაქტორი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სასუქები, შხამქიმიკატები, ჰერბიციდები და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები ესაჭიროება სოფლის მეურნეობას;

განიხილოს სოფლის მეურნეობისათვის განკუთვნილ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა წარმოებისა და განაწილების გეგმები, სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა და მშენებლობის გეგმები;

განიხილოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პერსპექტიული განვითარებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გადიდების, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და სპეციალიზაციის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მართვის დემოკრატიული საფუძვლების განვითარებისა და დაცვის საკითხები;

გამოარკვიოს, რამდენი უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მასობრივი კადრები ესაჭიროება სოფლის მეურნეობას;

განიხილოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანესი მეცნიერული და ტექნიკური პრობლემები;

კონტროლი გაუწიოს, თუ როგორ ასრულებს მრეწველობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ტრაქტორების, კომბაინების, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სათადარიგო ნაწილების, საწვავის, მინერალური სასუქების, ჰერბიციდების, შხამქიმიკატების, საშენი მასალებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიწოდების გეგმებს.

მიენიჭოს სოფლის მეურნეობის საკავშირო კომიტეტს უფლება — თავის სხდომებზე მოისმინოს შესაბამისი სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშები, თუ როგორ ასრულებენ ისინი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების, სოფლის მეურნეობისათვის მანქანების, მასალების, მოწყობილობის მიწოდების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღებისა და გადამუშავების გეგმებსა და დავალებებს.

საკავშირო კომიტეტს ამ საკითხებზე შესაბამისი წინადადებანი შეაქვს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში.

18. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს:

ა) განახორციელონ წარმოებისა და დამზადების მართვის აპარატის გარდაქმნა და ორგანიზაცია მმართველობის ორგანოებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრესტების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის მოქმედი რიცხვისა და ხელფასის ფონდების ფარგლებში, ამასთან გაითვალისწინონ მისი რამდენადმე შემცირებაც კი;

ბ) უზრუნველყონ, რომ ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებში სამუშაოდ და ინსპექტორ-ორგანიზატორთა თანამდებობებზე სამუშაოდ შეარჩიონ და გაგზავნონ სპეციალისტები (აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ინჟინრები, ეკონომისტები), პოლიტიკურად მომწიფებული მუშაკები, რომლებსაც სოფლის მეურნეობასა და დამზადებაში ორგანიზატორული მუშაობის საქმაო გამოცდილება აქვთ, უნარი შესწევთ უზრუნველყონ წარმოებაში ახლის, მოწინავისა და პროგრესულის დანერგვა და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა ხელმძღვანელობის ძირეული გაუმჯობესება.

საწარმოო სამმართველოების დაკომპლექტება მოხდეს იმ კადრებით, რომლებიც გვყავს პარტიის რაიონულ კომიტეტებში, რაიაღმასკომებსა და სხვა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, შესყიდვის სახელმწიფო ინსპექციებში, საბჭოთა მეურნეობების ტრესტებში, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობებისა და დამზადებათა საოლქო სამმართველოებში, დამზადებათა სამინისტროებში, მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოებსა და სამინისტროებში.

ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გასადიდებლად შემოღებულ იქნას პრემირება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სოფლის მეურნეობის საკავშირო კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და საკავშირო პროფსაბჭომ შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებანი ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების მუშაკთა პრემირების წესის შესახებ.

19. დაევალოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების ორგანიზაციასთან დაკავშირებით შეიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეიქმნას სახელმწიფო სტატისტიკის სარაიონთაშორისო ინსპექტურები სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოების არსებული შტატების ფარგლებში.

• • •

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღებას შიაპყრობენ იმას, რომ საწარმოო სამმართველოების ხელმძღვანელები, სპეციალისტები და სხვა მუშაკები პირველი დღეებიდანვე ჩაებან აქტიურ ბრძოლაში იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად. უკვე საგაზაფხულო თესვის მსვლელობაში საწარმოო სამმართველოები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს — გარდაქმნან ნათესი ფართობების სტრუქტურა, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ მიწა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რათა ახლანდელი ტექნიკური აღჭურვილობით, სამუშაოთა უფრო მაღალხარისხოვანი შესრულებით მკვეთრად გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ჩვენ დიად სამშობლოში

მეოთხე ოცდახუთსართულიანი სახლი

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ სსრ. რესპუბლიკაში სულ უფრო იზრდება სკოლების რიცხვი, რომლებშიც შემოღებულია უფასო კვება. ახლა ერევნის 125 სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები ყოველდღიურად უფასოდ იღებენ ცხელ საუზმეს. **ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ**: ერევნის № 122 საშუალო სკოლის სასადილოში.

ფოტო ა. ბადალიანისა.



მაკეტზე ხედავთ მოსკოვის ორი დიდი მაგისტრალის — ლენინგრადის პროსპექტისა და ვოლოკოლამსკის გზატკეცილის შესაყარს. მოედნის ცენტრში აღმართულია უზარმაზარი ოცდახუთსართულიანი კოშკი. ეს სახლი, მოსკოვში სათვალავით მერვე, განკუთვნილია სრულიად საკავშირო საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „ჰიდროპროექტისათვის“, რომელიც მისი ორგანიზატორის, გამოჩენილი საბჭოთა ჰიდროშენებლის, ამჟამად განსვენებული სერგი ჟუკის სახელს ატარებს.

ამ შენობის პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა „მოსპროექტის“ № 2 სახელოსნოს არქიტექტორმა გ ი ო რ გ ი იაკოვლევმა საგენტო „ახალი ამბების“ კორეს პ ო ნ დ ენ ტს უამბო:

— ოცდახუთსართულიანი შენობა გაბატონებული იქნება მოედანზე, მისი მაორგანიზებელი ცენტრი გახდება. სახლი თავისი გარეგნული ფორმით მარტივი და ლაკონიური იქნება, შესრულდება ქარხანაში დამზადებული მსხვილი ასაწყობი რკინაბეტონის ელემენტებისაგან, მინისა და ალუმინისაგან. ამ სახლს სრული საფუძვლით შეიძლება თანამედროვე ნაგებობა ეწოდოთ.

თავისი ჩანაფიქრით ახალი შენობა განსხვავებული იქნება დედაქალაქის დანარჩენი შვიდი მრავალსართულიანი სახლისაგან საინჟინრო გადაწყვეტით, დიდი ეკონომიურობით, აგრეთვე იმ მასალებით, რომლებისგანაც მას ააგებენ. კერძოდ, ჩვენ ხელი ავიღეთ სპეციალურ შუალედ ტექნიკურ სართულებზე, სადაც დამხმარე სამსახურებია. ისინი ძვირი ჯდება — მშენებლობაში და შემდგომ ექსპლოატაციაშიც. ახლა მეურნეობის მართვის მთელი სისტემა თავმოყრილი იქნება ზეძირკვლისა და სხვენის სართულებში.

საინტერესოა შემდეგი დეტალი: პროექტი ითვალისწინებს კომბინირებულ გათბობას — ჰაერით, რაც შეხამებული იქნება შემონადენ ვენტილაციასთან, და წყლით. სამუშაო საათებში ორივე სისტემა იმოქმედებს და ჰაერის ტემპერატურა 16-18 გრადუსს მიაღწევს. სამუშაო დღის დამთავრებისას ჰაერით გათბობა გამოირთვება, და ტემპერატურა 12 გრადუსამდე დაიწევს. ცხელ ზაფხულში კი სავენტილაციო არხებით მოწოდებული იქნება გაცივებული ჰაერი.

— როგორი იქნება ეს სახლი?

— მისი მოცულობა 137 ათასი კუბური მეტრი იქნება, სამუშაო ფართობი — 23 ათასი კვადრატული მეტრი, რაც უდრის ერთად აღებული თორმეტი ტიპური ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფართობს. სიმაღლე — 90 მეტრი. საპროექტო დარბაზები, სასამსახურო კაბინეტები და სალაბორატორიო სათავსები გაანგარიშებულია ოთხი ათასი კაცისათვის.

შენობა შედგება სამსართულიანი სახლის სიმაღლის ეგრეთწოდებული სტილობატისაგან (პოსტამენტისაგან) და 22-სართულიანი კოშკისაგან. სახურავიდან გადაიშლება დედაქალაქის პანორამა.

კოშკში განლაგდება ინსტიტუტის ყველა საპროექტო განყოფილება. მათ მიეცემათ შუქითა და ჰაერით სავსე 120 და 190 კვადრატულ მეტრ ფართობიანი დარბაზები, რომლებსაც ექნება ალუმინისა და მოლიანი მინის კარები, ფერადი პლასტიკით დაგებული იატაკები. ჭერი განზრახულია მოპირკეთებულ იქნას სპეციალური აკუსტიკური მასალებით.

საპროექტო დარბაზებსა და ლაბორატორიებში ყველა პირობა შეიქმნება ნაყოფიერი მეცნიერული კვლევისათვის. ჰიდროსადგურების დამპროექტებელთა შტაბს ექნება ყველაზე სრულყოფილი აღჭურვილობა, საკუთარი სახელოსნოები, საგამოფენო დარბაზები (ზოგიერთი მთგანი შიდა ეზოში იქნება), კონფერენც-დარბაზი 600 კაცისათვის, თავისი ფოტოატელიე და ბევრი სხვა რამ.

სანამ საბოლოოდ განსაზღვრავდით ახალი სახლის კონსტრუქციას, საჭირო გახდა ანალიზი გაგვეკეთებინა ამ დარგში მშენებლობის საბჭოთა და მოწინავე უცხოური გამოცდილებისათვის. ინჟინრებმა გამოიყენეს კონსტრუქცია, რომელიც პრინციპულად განსხვავდ ე ბ ა ჩვეულებრივი სახლის სქემისაგან, სადაც სიმტკიცესა და მდგრადობას მზიდი სვეტები უზრუნველყოფენ. ჩვენს შენობაში სიმტკიცესა და მდგრადობას ქმნის მიდა ტიხრების ქსელი, რომელიც ყველა სართულზე ერთნაირად არის განლაგებული.

გაანგარიშება მოწმობს, რომ „ჰიდროპროექ ტ ი ს“ შენობა განსაკუთრებით მკვიდრი და გამძლე იქნება, აიტანს ყოველგვარ ქარს.

— როდის დაიწყება მუშაობა?

— წელს. გავა შედარებით მცირე ხანი, და „ჰიდროპროექტის“ — საბჭოთა ჰიდროენერგეტიკის შტაბის — შენობის მინის ფასადები ათასობით შუქით აელვარდება.

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ“.



ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: მოსკოვის ორი — ლენინგრადისა და ვოლოკოლამსკის გზატკეცილების განშტოებასთან მდებარე მოედნის მაკეტი. 25-სართულიანი სახლის ხედი ლენინგრადის პროსპექტიდან.

ფოტო ა. ფილიაკოვისა (საავენტო „ახალი ამბები“).

ხელიხელსაგოგმანები მარგალიტი

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის 250 წლისთავის გამო

ახლანდელ მეექვსის მიერ თბილისში დაარსებულ ლ ი ტამბიდან 1712 წელს გამოვიდა რუსთველის გეროიკული პოემის პირველი ნაბეჭდი ტექსტი, რომელსაც დართული აქვს გამომცემლის ვრცელი „თარგმანი“ (**თარგმანი ამ შემთხვევაში** ნიშნავს კომენტარს, განმარტებას). ვეფხისტყაოსნის ბეჭდური გამოცემა უთუოდ დიდი მოვლენა იყო ჩვენი ხალხის კულტურის ისტორიაში.

პირველნაბეჭდი ვეფხისტყაოსანი ჩვენ დრომდის მოღწეულია მცირე რაოდენობით, სულ ცხობილი და აღწერილია 20 ცალი, მაგრამ ყველა მათგანი დეფექტიანია, ზოგს რა აკლია და ზოგს რა. საბედნიეროდ, მოღწეული ცალების ურთიერთშეჯერებით ხერხდება გამოცემის პირვანდელი სახის უნაკლოდ აღდგენა.

ვეფხისტყაოსნის პირველნაბეჭდი გამოცემის აღდგენის საპატიო საქმე წარმატებით შეასრულა პროფესორმა აკაკი შანიძემ. 1937 წელს გამოქვეყნდა აღდგენილი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ტექსტი. გამოცემას დართული აქვს ა. შანიძის საეციალური გამოკვლევანი. აღდგენილი გამოცემა სრულ წარმოდგენას იძლევა მის დედანზე. გამეორებულია დედნის ფორმატი, სამკაულები, შრიფტი, ფერები და გამოცემის სხვა გარეგნული ნიშნები. ვეფხისტყაოსნის აღდგენილმა გამოცემამ შესაძლებელი გახადა ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხის საბოლოო გადაწყვეტა. ამ გამოცემამ ხელი შეუწყო შემდგომი გაღრმავებული კვლევაძიების გაშლას რუსთველოლოგიის დარგში.

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ცალები ამიტომ არის მოღწეული უმნიშვნელო რაოდენობით, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში უცდიათ მეელი გამოცემის მოსპობა. ნაწილობრივ კიდევაც გაუბორკიელებიათ ეს ბარბაროსული განზრახვა. 1802 წელს რუსულად დაბეჭდილ ერთ წიგნში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი „ისეა მოსპობილი, რომ ახლა ფრიად იშვიათად შეიძლება მისი ნაბეჭდი ეგზემპლარების პოვნა“.

რუსთველის პოემის წინაალმდეგ ფიზიკური ბრძოლა გაუჩაღეთა ქართველ საეკლესიო-კლერიკალურ საზოგადოებას. ამ საზოგადოების ერთ გამორჩენილ წევრს, მთავარეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილს ნიშნაში ამოუღია ვეფხისტყაოსნის სწორედ ვახტანგისეული გამოცემა. ტიმოთე არ მოერიდა ვახტანგის ავტორიტეტს და ღვარძლიანი სიტყვები უძღვნა როგორც რუსთველს, ისე მის კომენტატორს: „ესე რუსთველი იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენთა სამღვდოოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“.

ტიმოთეს გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერებულა ვეფხისტყაოსნის დევნა, რასაც შედეგად მოჰყოლია პოემის ბეჭდურად გამოცემული ცალების განადგურება.

ცნობილია, რომ ვეფხისტყაოსანი იმთავითვე იწვევდა რეაქციულ-კლერიკალური წრეების უკმაყოფილებას. რუსთველს უკიჟინებდნენ, არ ახსენებს და არ ცნობს ერთარსება სამპიროვან ქრისტიანულ ღმერთს, მისი პოემა საამქვეყნოსაერო ნაწარმოებია, როგორც არსს აღიარებს მხოლოდ ხორცს და სულს არაფრად აგდებს, უზნეობას ქადაგობს, მეჯარბასა და მრუშობას ასწავლის მკითხველს, საიქიო ცხოვრებისათვის უსარგებლო და დამღუპველიაო.

ვეფხისტყაოსნის ტექსტს ვახტანგმა, როგორც ვთქვით, დაურთო ვრცელი „თარგმანი“. „თარგმანით“ ავტორი შეეცადა გაებათილებინა კლერიკალური წრეების ბრალდებანი და დაესაბუთებინა ვეფხისტყაოსნით ასახული ზნეობრივი იდეალების უმწიკვლობა და დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. კომენტატორი „თარგმანის“ შესავლშივე აცხადებს: „მე ვწერ... გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა ამას ამისთვის, (რომ) უეოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეცოდოდ თარგმნიდენ მის რიტორისა და ბრძენ-მეცნიერისა კითილად ნამუშაკევსა სამუშაოსა“. ვახტანგი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის „თარგმნა“ ტრადიციული გამხდარა, „მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია, ერთი მე ასე მივხედი და მითქვამსო“. „თუმცა ვინმე ამ თარგმნისას ამას ბრძანებს,—ვანგარჩობს ვახტანგი, — არა ისრე არისო, მე უგბილობაში (ჯიუტობაში) ჩამომირთმევიაო“. წინააღმდეგ კლერიკალებისა, ვახტანგი ამტკიცებს, რომ: „რუსთველს წიგნი სულ სასწავლებელი არის“.

კომენტატორის შეხედულებით, ვეფხისტყაოსანი არის ზღაპრულ თემატიკაზე აგებული საერო ნაწარმოები, რომელიც გვასწავლის მაღალ ზნეობას. „რადგან სამღვთო ნახა რომ არვინ კითხულობდა, სოფლიოს ზღაპარს უფრო წაკითხვიდენ, **სოფლიო ზღაპარი** მოიგონაო“, შენიშნავს და ურთავს: „მაგრამ ასეთი ზღაპარი არ უთქვამს, რომ საცოდავი იყოსო“. ვახტანგის მოსაზრებით, ვეფხისტყაოსანი ალეგორიულად გამოხატავს ზნეობრივ მოძღვრებას. პირდაპირი შინაარსით პოემა „სოფლიო ზღაპარია“, მაგრამ ამ „სოფლიო ზღაპარში“ ჩაქსოვილია საღვთო და საერო სწავლანიო.

რასაკვირველია თავისი მიზნის შესაფერისად ვახტანგი განსაკუთრებული დაბეჭითებით უსვამს ხაზს ვეფხისტყაოსნის ვითომცდა საღვთო ხასიათს, კერძოდ საღვთო მიჯნურობას („მიჯნურობას სამღვთოს მიჯნურობისათვის ამბობსო“). ვახტანგმა წარმოადგინა პოემის შეუფერებელი სარწმუნოებრივ-მისტიკური ახსნა-განმარტება. მისი ნაძალადევი და ტენდენციური განმარტება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ჯერ კიდევ მარი ბროსე წერდა: „ვახტანგ მეფემ დაბეჭდვინა ვეფხისტყაოსნის განმარტება, რომელიც ფრიად შეუსაბამო და უხამსიაო“, ხოლო დ. ჩუბინიშვილი უმატებდა: „უცნაური და ურიგოც კი იქნებოდა რუსთველის ეს ქმნილება რაღაც მისტიკურ ქრისტიანულ პოემად მიგვეჩნია“.

ვახტანგის ხელოვნური „თარგმნის“ თამაშაზე არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს. მხოლოდ გასათვალისწინებელია საქმის მეორე მხარეც. ყველაფრიდან ჩანს, რომ ვახტანგი მაინცდამაინც დაჯერებული არ ყოფილა თავისი „თარგმანის“ უცილობელ სისწორეში, მას მხოლოდ ამოქმედებდა კეთილშობილური განზრახვა — გადაერჩინა ვეფხისტყაოსანი რეაქციულ-კლერიკალური წრეების თავდასხმისაგან.

კომენტატორი გამიტეხილად აღიარებს: „თუ უნდა ესეც არ იყოს და ისე იყოს, **თარგმანი ხომ ასრე სჯობს**“. ვეფხისტყაოსნის გამოსარჩლების მიზეზით პოემის შინაარსის ალეგორიულ გაგებას, ეტყობა, ვახტანგს უკარნახებდა როგორც განათლებული გონება, ისე თავისი მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა. დამოწმებული სტუყვების შემდეგ ვახტანგი აფრთხილებს მკითხველთ: „ღვთისა და კაცის წინ მე ასე მიჭობინებია, და ამას იქით მკითხველთ იცით, მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ, **ქვეყნის უფროსი ავის** დამშლელი ხამს და ამად დავშვერ.“

ვეფხისტყაოსნის დევნა დიდი და სამარცხვინო საქმე უნდა ყოფილიყო. ვახტანგს თავის ზნეობრივ მოვალეობად





ვახტანგის მთავარი ღვაწლი რუსთველოლოგიაში ის არის, რომ მან რედაქციულად დაამუშავა და ბეჭდურად გამოაქვეყნა ვეფხისტყაოსნის ტექსტი. უკანასკნელი დროის კვლევაძიების შედეგად გაირკვა, რომ ვახტანგისეული ვეფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი თავისებური მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემაა. ვახტანგს შეუკრებია და შეუსწავლია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერე ბ ი, შეძლებისდაგვარად გაუცხრილავს პოემა ჩანართებისა და დანართებისაგან, ჩამოუყალიბებია რუსთველის პოემის ის მოკლე რედაქცია, რომელიც მრავალი გამოცემით არის ჩვენში გავრცელებული.

ვახტანგისეულ გამოცემას ბევრი ნაკლიც აქვს. პოემის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში აკადემიკოსი მარი ბროსე წერდა: „ვახტანგ მეფის მიერ დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანში მრავალი ტიპოლოგიური ცდომილებანი იპოვებოდნენ“. გამოცემაში გვხვდება ტექსტუალური ხარვეზები, ნაწილობრივ შეუსაბამობა დაბეჭდილ ტექსტსა და „თარგმანს“ შორის, აქა-იქ გაუმართავია ფორმები და ა. შ. ეს ხარვეზები იმ გარემოებას უნდა გამოეწვია, რომ ვეფხისტყაოსანი იმ დროს იბეჭდებოდა, როდესაც ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა გართულდა, ვახტანგი იძულებული გახდა სპარსეთში გამგზავრების სამზადისს შესდგომოდა და ვეფხისტყაოსნის ბეჭდის საქმის ხელმძღვანელობა მეუტამბე მიქელ დეკანოზიშვილისათვის გადაებარებინა.

ალნიშნული ნაკლის მიუხედავად ვეფხისტყაოსნის პირველი ნაბეჭდი გამოცემა ღირსეულად უპასუხებდა დროის მოთხოვნილებას. ეს გამოცემა გვიმტკიცებს ქართული ფილოლოგიური აზრის საკმაო წოწიფულობას მე-18 საუკუნის დასაწყისში. ცალკე აღსანიშნავია, რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი ცხადყოფს მაშინდელი ქართული პოლიგრაფიის მაღალ ტექნიკურ დონეს. ყურადღებას იქცევს გამოცემის სოლიდური გარეგნობა და მხატვრული გაფორმება, საუცხოო ყდა, ძვირფასი სამკაულები, მშვენიერი შრიფტი.

